№ 277 დეკემბერი 21, კვირა 1886 დეკემბერი 21, კვირა № 277

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 7 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერქიეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

## ქართული თეატრი

**დღეს, 21 ქრისტიშობისთვეს,**

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან ბბ. კ. მესხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### შეშლილია!

დრამა 3 მოქმედებად

### ბაიყუში

კომედია 2 მოქმ., ა. ცაგარლისა

მოთამაშენნი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ავალოვისა, თამაროვისა; ბბ. ყიფიანი, მესხი, აწყურელი, მაქსიმიძე და სხვანი.

**დასაწყისი 7 1/2 საათზე.**

---

ტფილისი, 20 დეკემბერი

რომ 1886 წელს გაძლიერდა ჩვენში პურის ვაჭრობა და ჩვენის ქვეყნიდამ საქვეყნო ბაზარში 4,000,000 ფუთი პური გავიდა, — ეს ამბავი უნდა მიეწეროს სხვა მიზეზსაც იმ მიზეზთა გარდა, რაც ჩვენ წინა წერილებში მოვიხსენიეთ. ეს სხვა მიზეზნიც იმისთანავე შემთხვევითნი არიან, როგორც წინანდელნი მხოლოდ სხვა მხრით-კი. წინანდელი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იმ ქვეყნებმა, რომელთაც დიდძალი პური გამოაქვთ საქვეყნო ბაზარში გასასყიდად, უმოსავლობის თუ სხვა მიზეზის გამო, პური ამ 1886 წელს ნაკლებად გამოიტანეს და ბაზარს პური უჭირდა. ბაზარს პურის შოვნა გაუჭირდა და დიდი დანაკლისი იგრძნო მარტო იმით კი არა, რომ საკმაო პური არ მიიტანეს, პურის ნაკლებობა ბაზარში იმით უფრო გაძლიერდა, რომ იმ ქვეყნებმაც, რომელნიც პურის უქონლობის გამო პურსა ჰყიდულობენ, ამ 1886 წელს უფრო ბევრი პური მოითხოვეს, იმიტომ-რომ ამ წელს მოუსავლობამ საკუთარის პურისამ პურის საჭიროება გაუძლიერა. სულ ყველაზე მეტს პურს ჰყიდულობს საქვეყნო ბაზარში ინგლისი; 1884 წელს მარტო ამ ქვეყანას უყიდნია 24-ი მილლიონი ჩეტვერტი. წლევანდელის წლის აგვისტოში ინგლისიდამ იწერებიან, რომ ამ წელს მეტად ნაკლები პური მოგვივიდაო, ასე, რომ წლევანდელი მოსავალი ორთა-შუა მოსავალზედაც ნაკლები ყოფილა. ორთა-შუა მოსავლად რომ ვსთქვათ, ავიღოთ 100 კოდი, აი მეტ-ნაკლებობა პურის მოსავლისა როგორ გამოიხატება ციფირებით. აქ ჩვენ მოვიხსენიებთ რამდენსამე წელს და ყოველ გვარ ხორბალეულობას და კარტოფილსა, რომელსაც ინგლისში პურის ადგილი უჭირავს.

| წლები | | ხორბალი | ქერი | შვრია | კარტოფილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1881 | — | 90 — | 110 — | 80 — | 98. |
| 1882 | — | 92 — | 95,4— | 105,1— | 96,4. |
| 1883 | — | 91,6 — | 94— | 106,6— | 120,6. |
| 1884 | — | 112,2— | 98,1— | 94,3— | 108,4. |
| 1885 | — | 101,4— | 99,2— | 93,5— | 92,7. |
| 1886 | — | 86,8— | 90,5— | 93,5 — | 91,7*) |

აქედამა სჩანს რომ ინგლისს, — ამ უმთავრესს პურის მყიდველს საქვეყნო ბაზარში, — ამ უკანასკნელს ექვსს წელიწადში წლევანდელისავით უმოსავლო წელიწადი არა ჰქონია. ცხადია ამის შემდეგ თუ ინგლისმა 1884 წელს მოინდომა 24 მილლიონი ჩეტვერტი პური, როცა თვითონ ორთა შუა მოსავალზედ 12 1/5% მეტი პური მოუვიდა, მაშ 1886 წელს, როცა 26%-მდე ორთა-შუა მოსავალზედ ნაკლები მოუვიდა, უფრო ბევრს მოინდომებდა. საფრანგეთს 1884 წელს უყიდნია 9,200,000 ჩეტვერტი პური. წელს საფრანგეთსაც ორთა-შუა მოსავალზედ ნაკლები პური მოსვლია. გერმანიასა, ავსტრიასა, ვენგრიასა, სერბიასა, რუმინიასა, გოლანდიასა, ისპანიასა და ოსმალეთში ორთა-შუა მოსავალს დაჰკლებია 5%-დამ 16%-მდე. რა თქმა უნდა, რომ ეს ქვეყნებიც უფრო ბევრს პურს მოითხოვდნენ ამ 1886 წელს, ვიდრე წინა წლებში. ამ სახით პური ნაკლებად ჰქონიათ იმათ, ვინცა ჰყიდულობენ ერთის მხრით და მეო- [illegible] მაგალითებრ, ამერიკამ 1884 წელს საქვეყნო ბაზარში გამოიტანა 30 მილლიონი ჩეტვერტი, წელს კი იმოდენად ნაკლები პური მოჰსვლია, რომ ასზედ თითქმის 28% დაჰკლებია. დაჰკლებია, აგრეთვე ავსტრალიას რადგანაც 1883 და 84 წლებში 45 მილლიონი ბუშელი*) პური მოჰსვლია და ამ 1886 წელს კი მარტო 37 მილლიონი. შორს რომ აღარ წავიდეთ, წელს მთელს ქვეყანაში ორთა-შუა მოსავლის გვალობაზედ 30 1/2 მილლიონზედ ნაკლები პური მოსულა. ცხადია, რომ ამ 1886 წელს დასავლეთი ევროპა იძულებული იქნებოდა ნება-უნებლიედ აქედ-იქით მიმდგარიყო, რომ საკმაო პური ეშოვნა და აი რა მიზეზით მოაწყდა ამისთანა უგზო-უკვლო ქვეყანას, როგორიც ჩვენი მხარეა, რომელსაც პურის მიტანა საქვეყნო ბაზარში თვითონ პურის ღირებულობაზედ მეტი უჯდება. ნუ თუ ესეც შემთხვევა არ არის და იგი მკვიდრი ნიადაგია პურის ვაჭრობისა, რომელზედაც აუშენებია ბ-ნს არასხანიანცს ციხე-კოშკები თავის მოხსენებაში პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში?

---

*) 1886 годъ въ Сельско-хозяйственномъ отношенiи, გვერდი 23.

*) 6 ბუშელი=1 ჩეტვერტია.

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობისათვის ამ [illegible] ქალაქო არხიტექტორს ბ-ნს შიმკევიჩს ანგარიში შიოევის სახლის გაკეთებაზე დახარჯულის ფულისა. ეს სახლი „კრუჟოკისათვის“ იქმნა გაკეთებული. გადაკეთება დასჯდომია ქალაქს 50,000 მან., თუმცა ამ საგნისათვის გადადებული იყო მხოლოდ 45,000 მან.

⁂ 18 დეკემბრიდამ ტფილისში ძმათა ნიკიტინების ცირკმა დაიწყო თავისი წარმოდგენები.

⁂ ქარელიდამაც მოგვდის საჩივარი იმის თაობაზე, რომ იქაც გახშირდა თურმე ავ-კაცობა და ქურდობა. ამას წინად ლეხურის ხეობაზედ ერთის მემამულეს მოჯამაგირე ოსს დაურიგებია ქურდები, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ ალაგას ჩემის ბატონის კამეჩები იქნებიანო, დაირეკეთ და წაასხითო. ქურდები მართლა ასე მოიქცნენ. კამეჩები დაიკარგა და დღესაც უნდათ გასტეხონ როგორმე ოსი მოჯამაგირე, მაგრამ ვერ გაუტეხნიათო.

⁂ კახეთიდამ გვწერენ, რომ კარდანახში ამას წინად საკმაოდ ბლომად გააწერეს ფული ეკკლესიის ასაშენებლად. ფულის გაწერა ადვილი იყო, მაგრამ მოკრეფა გასჭირდა ძრიელ. ფულის მკრეფელნი დადიოდნენ და დიდის გაჭირებით აგროვებდნენ ამ ფულს ხალხისაგან. ბევრი უარზე იდგა და არას არ იძლეოდა. უსიამოვნობა, ყაყანი და დავიდარაბა ძალიან გახშირდა ამის გამო. ერთს დღეს ფულის ამკრეფნი მივიდნენ ერთს გლეხთან, გვარად ელისაშვილთან. მოუ- [illegible] გინება მოჰყვა და გაჩნდა ჩხუბიცა. ელისაშვილი წააქციეს ჩოჩქოლში და ცემა დაუწყეს. ამ დროს წაქცეულმა გლეხმა ამოიძრო ხანჯალი, გააპარა ხელი და დაჰკრა ერთს ფულის მკრეფავთაგანს ჩახუაშვილს ზურგში. ჭრილობა საშიში არ გამოდგა. დამნაშავე დააპატიმრეს, მაგრამ ორის დღის უკან ისევ განთავისუფლეს. ამბობენ, რომ მოჩხუბარნი შერიგდნენო. ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ ამ საქმეს

---

## ფელეტონი

### სიმღერა

ვერას დამაკლებ, გარამო,
რა გინდ გულს მჭიდო ბჭყალები,
თუ შენ მე დამაძაბუნო,
ნუმც მიტირებენ თვალები,
ღრუბლებში ელვად მნათობნი,
ხან-კი მიბჟუტვით მკრალები!

მიყვარხარ გულზე მწოლარი,
ობლის საფლავის ქვებურა...
დაგლევ და დაგლევ, გარამო,
ცავის მთის წყაროს წყლებურა.

ტყუილად იტყვის, — კაცი ვარ,
თავზედა ქუდი მხურია
ის, ვისაც კარგის საქმისად
გარამიც არა სწყურია!

ვაჟა-ფშაველა

1886 წ.

### ლაყბობა

„მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არა ვიცი-რაო!“ უთქვამს ერთს ფილოსოფოსს. „ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ სხვები არ გვიჯერებენო!“ დაუჟინიათ სულელებს.

როგორც პირველი, ისე მეორეებიც, ცხადია, გულ-წრფელად ალიარებენ იმას, რასაცა ჰგრძნობენ და რაცა ჰგონიათ, მაგრამ რა არის მათი „ჰგონიაობის“ მიზეზი? ის რომ სულელი ყოველთვის ჭიანჭველას ადარებს თავის თავს და ცოტა უპირატესობას რომ იგრძნობს, მართლა ჰგონია, თუ დიდი ვინმე ვარო და იბერება. ჭკვიანი კი სცდილობს გამოჩენილ დიდებულებს მიეტოლოს და ზომა-წონაში რომ ჩამოურჩება, თავი არარაფრად მიაჩნია. ამით აიხსნება ის მოვლინება, რომ ჭკუა-ნაკლებ კაცებს დიდად მოაქვსთ თავი, თავის ქერქში ველარ ეტევიან და გაბერილები დაიარებიან, მაშინ როდესაც ნამდვილი ჭკვიანები კი უბრალო-კაცობენ. რა სჯობია, რომელი უფრო გამოსაყენებელია ცხოვრებაში და სასარგებლო პირადად: ჭკვიანების არა-რაობაზე ფიქრი, თუ სულელების დიდი-ვინმეობა? რასაკვირველია, მეორე!.. ხალხი თვალ-ყურითა ჰჭრის: რასაც ყურში ჩასძახებენ, რაც თვალში ეჩხირება, მხოლოდ ისა სწამს და იმას ალიარებს. რალა ცხვრის ფარა და რალა ის!.. ერთი ცხვარი რომ დაიბღავლებს: „ბეეეო“, აჰყვება მას მთელი ფარაც და აღარ არის ყურთა სმენა. მერე ერთიანად დაჩუმდებიან... დასცხრებიან... რა იყო ასე ერთ-პირის ბღავილისა და ან ერთბაშად დაჩუმების მიზეზი? არაფერი! მხოლოდ ერთი მეორის აყოლა! — ამ გვარსავე კანონს ექვემდებარება ცხოვრებაში ხალხიც. ამ გვარ დროებით ბღავილს, თუმცა უსაფუძვლოა, მაგრამ მაინც დროებითად დიდი ძალა და ძლიერი გავლენა აქვს ცხოვრებაში. ნათქვამია: „ერთი ფარა ცხვარი რომ ხეს შეჰბღავლებს, ხე გახმებაო!“ ვაი მას, ვინც ხალხს ჩაუვარდება ყბაში!.. ვინ მოსთვლის რამდენი იჩაგრება უსამართლოდ და რამდენი კეთილ-დღეობაში ვარდება ულირსად, მხოლოდ ხალხის ხმით!

ქვეყანა სათეატრო სარბიელია, ხალხი იმ თეატრში მომქმედი: ზოგი მსახიობია (აქტიორი) და ზოგიც ე. ი. უმეტესობა კი მაყურებელი.

საუცხოვო სანახავია შორიდან სცენა: მთა, კლდე, მიწა-წყალი, ტყე და ველი... ყოველისფერი მხოლოდ მოჩვენებულია და მარტო თვალსა სჭრის, მაგრამ სიამოვნებით ვუყურებთ ხოლმე... გამოდის აქტიორი ვინმე საუცხოვო როლში... გმირი ვინმეა, სცენაზე ტრიალებს: ლომს კატასავითა ჰკლავს, მით იტაცებს ჩვენს გრძნობა-გონებას... ჰხიბლავს... და ჩვენც ალტაცებულის თანა-გრძნობით შევტრფიალებთ ისე; როგორც ნამდვილს გმირს. მაღალ-გრძნობიერ კაცს გვიდგენს სცენიდან... ბრძნულად გვექადაგება. ჩვენ მოგვწონს ესეები ყველა და ტაშის კვრით „აი გიდის“ შევყვირით. მაშინ როდესაც თვით იმ კაცს თავის საკუთარი გრძნობაცა და გონებაც გაცვეთილ-გაქლესილი აქვს.

შეიძლება რომ იმ დროს ვინმე ჭკვიანი, გრძნობიერი, ნამდვილი გმირი გვერდში გვიჯდეს, მაგრამ ჩვენ კი მაინც სცენისაკენ ვიყურებით!.. რომ გამოგველაპარაკოს, ვიწყენთ: „ხელს-გვიშლის-თქო“ ვიტყვით... დიახ! სწორედ რომ ახირებულია ცხოვრება და მისი წამიერი კანონი: ნამდვილს მოჩვენებული გვირჩევნია და ამისი ბრალია, რომ ნამდვილ გრძნობა-გონებას ისეთი ფასი არა აქვს ცხოვრებაში, როგორც თვალთ-მაქცურს... მოჩვენებას!

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ვისაც პირადი კეთილ-დღეობა ჰსურს, ვისაც უნდა, რომ ხალხმა შეიყვაროს, პატივი სცეს და დააფასოს, ის მხოლოდ სცენიდან უნდა ეჩვენებოდეს ხოლმე ხან-და-ხან მაყურებლებს... არც დაუახლოვდეს და არც დაიახლოვოს. ერთის სიტყვით, კოჭებში არ უნდა აყურებინოს და კბილები არ უნდა დაათვლევინოს!...

თავის სამშობლოში წინასწარმეტყველი არ შეწყნარებულაო, გვიბძანებს მაცხოვარი!... ამის მიზეზი ის არის, რომ, თვალ-ყური თუ შეაჩვია ხალხმა, საკვირველებასაც არარაფრად ჩააგდებს... ავიღოთ, მაგალითად, ვინმე გამოჩენილი კაცი, გინდ მწერალი!... სანამდინ გაიცნობდნენ, შორიდამ ის ყველას მოსწონს, ყველას უყვარს, აღტაცებაში მოდიან და გაცნობის შემდეგ-კი გაგულ-გრილდებიან ხოლმე. ამის მიზეზი ის არის, რომ ყოველ-კაცს თავის საკუთარი წარმოდგენა აქვს. საკუთარი გემოვნება და საკუთარი მოთხოვნილება!.. სახელოვან-უცნობს ისე წარმოიდგენს, როგორც თვითონ ესიამოვნება. ზოგს შავ-გვრემანად, ზოგს ქერად, ზოგს მკვირცხლ-კაცად, ზოგს მშვიდობიანად და სხვა, და სხვანი — ერთის სიტყვით ისე გამოისახვენ, როგორც

მსვლელობა მისცემოდა და გამოაშკარავებულიყო, რა იყო ნამდვილი მიზეზი ჩხუბისა და შფოთისა.

⁂ ლანჩხუთიდამ გვწერენ: ჩვენსკენ ძალიან გახშირდა ავ-კაცობა და კაცის მკვლელობაო. ისე თთვე არ გავა, რომ ან არავინ არ დასჭრან და ან არავინ არ მოჰკლანო. ამ წელს შვიდი კაცი მოჰკლეს. რამდენი დასჭრეს, იმას კიდევ ვინლა მოსთვლის. ხალხი აღარ ერიდება სასჯელს და მკვლელობასა და ავ-კაცობას ისე უცქერის, როგორც უბრალო საქმეს. აქაურისთვის, როგორც განადირებულთათვის, კაცის დაჭრა და მოკვლა ისე ადვილია, როგორც ქათმის დაკვლა. „პატარეი ხანს ნაობახში ჩამსმენ, მეტი ხომ არა იქნება-რაო, ამბობენ აქაურები.—ჯერ არ გავკუტდები ახირებულად და თუ-კი ვინმემ კუჭი მომაყვანია, იმ წამსვე გავათავებო. უბრალო ჩხუბი, უბრალო უსიამოვნობა აქ საშინელ მტრობად, ძულებად გადიქცევა ხოლმე და ამ მტრობასა და ძულებას ხშირად სიკვდილიც მოჰყვება ხოლმე.

29 ნოემბერს აქ ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა კიდევ. ყარამან ტუსკიამ მოჰკლა ივანე ქორდანია. ტუსკია შეუვარდა ქორდანიას სახლში და თოფი გადულო. როცა ხელი წაავლეს მკვლელს და თოფი წაართვეს, რევოლვერი ამოიღო უბიდამ და დაახალა შიგ გულში. საცოდავმა ქორდანიამ ხუთი საათი ველარ იცოცხლა. დამნაშავე შეიპყრეს და გაჰგზავნეს ოზურგეთის ციხეში.

⁂ ახალციხიდამ შემდეგს ამბავსა [illegible]ში არა ჩვეულებრივი, ფრიად სამწუხარო და ამასთანავე შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. შაბათს ღამე, აქ მოჰკლეს აქაური მცხოვრებელი სამსახურიდამ გამოსული პოდ-პორუჩიკი თომა ანტონის-ძე დათეზოვი—იგივე დავიდოვი. შაბათს 11 საათამდის თავის ძმასთან ყოფილა და იქიდამ წამოსვლის შემდეგ მოუკლავთ. განსვენებულის გვამი საძაგლად დასახიჩრებული იპოვეს კვირა დილით აქაურ მცხოვრებლის ქაჩხუაშვილის სახლის მახლობლად. საბრალო შვიდ-რვა ადგილას არის დაჩეხილი ხანჯლით. როგორაც სჩანს, დათეზოვი იმ ადგილას არ არის მოკლული სადაც იპოვეს, რადგანაც იქ სისხლი არსადა სჩანდა და გარდა ამისა, კვირას, დილით ადრე, იმ ქუჩაზე ეკკლესიაში მიდენილ ხალხსაც არ უნახავს იქ გვამი. მკვლელი ჯერ არავინ იცის, ვინ არის. ეჭვი-კი ბევრზედა აქვთ, განსაკუთრებით მათზედ, ვისაც განსვენებულთან მტრობა ჰქონდა და ან მისი ყოფა-ქცევის მომდურავი იყო. სამწუხაროდ მტერიც და მომდურავიც ძალიან ბევრნი ჰყავდა, და ამისათვის ძალიან ძნელია მკვლელის აღმოჩენა. მომეტებული მომდურავები მან გაიჩინა მაშინ, როდესაც იგი ასრულებდა ბოქაულის თანაშემწის მოვალეობას!... პოლიცია ყოველივე ღონის-ძიებას ხმარობს მკვლელების აღმოსაჩენად.

⁂ ახალციხიდგანვე გვწერენ: ეს ორი კვირაა აქ საშინლად მძვინვარებს ყელის ტკივილი. ერთის სახლობიდამ ამ ორის დღის წინად ორი ყმაწვილი—მიცვალებული ერთად გამოიტანეს. მეორე სახლობაში სამ დღეში ორი ყმაწვილი მოკვდა და თითო ხომ თითქმის ყველა სახლობას უკვდება. პატარებს გარდა დიდებსაც ბევრსა სჭირს ეს სატკივარი. ვისურვებთ, რომ აქაურს მაზრის ექიმს ბ. კ. გამრეკელოვს განსაკუთრებითი ყუ[illegible]

⁂ გაზ. «ნოვ. ობოზ.» ამბობს, რომ საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ თავისი მოსაზრება წარუდგინა უწ. სინოდს სინოდალურის კანტორის გაუქმების თაობაზედაო. ეგზარხოსის აზრით, ამ კანტორის მაგიერ უნდა დაწესდეს საეგზარხოსო მმართველობა. მმართველობის თავს-მჯდომარედ იქმნება ეგზარხოსი; მმართველობის გარდაწყვეტილებანი უნდა დაამტკიცოს ეგზარხოსმაო. პროკურორისა და ორის სეკრეტრის მაგიერ მმართველობაში იქმნება მხოლოდ ერთი სეკრეტარი.

ეტყობა ცოტა საქმეები ყოფილა ამ ქამად კანტორაში, რომ ეგზარხოსს განუზრახავს შეამციროს მოხელეთა რიცხვი, მერე მაშინ, როცა საქართველოსს საეგზარხოსოს მიეწერა შავის ზღვის ოლქის ეკკლესიები და სამღვდელოება სტავროპოლის ეპარქიიდამა და თერგის ოლქიდამაო. ამას გარდა კიდევ განზრახვა აქვთ საეპარქიო მთავრობას დაუქვემდებარონ სამხედრო სამღვდელოებაცაო. მერმისიდამ შემოიღებენ საყოველთაო სამხედრო ბეგარას, როცა მეტრიკის მოწმობანი ყველას დასჭირდება და არა თითო-ოროლას, როგორც აქამდე იყო. და თუმცა ყველა ეს ასეა, ეგზარხოსი მაინც ამცირებს მოხელეთა რიცხვს კანტორაშიო. ცხადია, რომ საქმე იმდენი არა ყოფილა ამ კანტორაში, რამდენიც „ჩინოვნიკები“ არიან ამ ქამადაო.

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობასთან დაარსებულია ესრედ წოდებული სამოსწავლო კამიტეტი, რომელიც განაგებს ქალაქის სასწავლებელთა საქმეებს. ამ კამიტეტმა ამას წინად გადასწყვიტა, რომ ქალაქის საქალებო სახელოსნოში 30 მაგიერ 60-მდე მიიღონ ხოლმე შეგირდი ქალებიო, ამბობს იგივე გაზეთი.

⁂ 18 დეკემბერს, მე-6 ნაწილში, დაუჭერიათ დროებით დათხოვნილი ჯარის-კაცი იაგორ ფედოთოვი, რომელიც პატარა ნაქსოვს ბალიშსა ჰყიდდა თურმე.—ეს ბალიში სხვა 125 მანათად ღირებულ ნივთებთან ერთად მოუპარავს სოფ. წყლასგურში, ქვრივის დარიკო ზაალის-ძე ჯავროვისაგან.

⁂ მე-5 ნაწილში, 18-სავე დეკემბერს, ტფილისის მოქალაქის გრიგოლ ისკანდაროვის სადგური, ციციანოვის ქუჩაზედ, ზარგაროვის სახლებში, გაუტეხნიათ და 320 მანათის ოქროსი და ვერცხლის ნივთები გაუტანიათ.

⁂ 19-ს დეკემბერს, პუშკინის ქუჩაზედ, ტერნიკოლოსოვის ყავახანის დახლიდარს ტფილისის მოქალაქეს ივანე ზორიევს გაუტეხნია ამ ყავახანის დახლი, ამოუღია ფულად 310 მან. და ორი ვერცხლის საათი, 35 მანათად ღირებული, და გაქცეულა.

⁂ 19-სავე დეკემბერს, ტფილისის მოქალაქეს ნიკოლოზ მაჯინოვს ჩხუბი მოსვლია ტფილისისავე მოქალაქე მიხეილ კირაკოზოვთან და გულში დანა სამ ალაგას დაურტყავს კირაკოზოვისათვის. დამნაშავე დაპატიმრებულია. დაშავებულისათვის სამკურნალო შემწეობა აღმოუჩენიათ.

⁂ კორპუსის ეკკლესიის მოსამსახურეს დროებით დათხოვნილ ჯარის-კაცს თევდორე ბუკდეევს მოუპარავს ამ ეკკლესიიდგან ორი ვერცხლის ხატი, 24 მანათად ღირებული და ორი პატარა ოქროს ჯვარი 6 მან. ღირებული. ნაპარევი დამნაშავის ცოლს უკანვე დაუბრუნებია ეკკლესიისათვის. დამნაშავე დაუპატიმრებიათ მეტეხის ციხეში.

⁂ ამავე დღეს, მე-3 ნაწილში, ტფილისის ფოსტის სადგომთან მიუგდიათ ერთი ახლად დაბადებული ყმაწვილი-ქალი. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

⁂ 13 დეკემბერს სენაკის მცხოვრებელ ნატო ადამოვის სახლი გაეტეხნა, 478 მანათის სხვა-და-სხვა ნივთები გაეტანა გორის მაზრის, სოფ. დოღლაურის მცხოვრებელ გლეხს გაბო გოჩიშვილს და გაქცეულიყო. დამნაშავე პოლიციას დაუჭერია გუშინ-წინ, 19 დეკემბერს, და მეტეხის ციხეშია დაპატიმრებულიო.

⁂ 19-სავე დეკემბერს, პოლიციის მე-4 ნაწილში, უეცრად გარდაცვლილა ტფილისის მოქალაქე სტეფანე ლაზარიევი. გარდაცვალებულის გვამი ანატომიურს კაბინეთში გაუგზავნიათ.

## დამაკვირდი!

თუ გინდა მრუდედ დაჯექ, ოღონდ სწორედ კი ილაპარაკე. (ოსმალური ანდაზა)

⁂

თავის თავის მკვლელი, იმ ლაჩარსა ჰგავს, რომელიც, ჯერ მინამ ომი არ გათავებულა, გამორბის. (ბეშერელი)

⁂

შესაძლოა სხვისის ცოდნით მცოდინარნი ვიყვნეთ, ხოლო ბრძნად ყოფნა კი მარტო საკუთარის სიბრძნით შეგვიძლიან. (მონტეინი)

⁂

გეტყვი: „რა კაცსა სოფელმან
მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ჰხამს ჭირისა,
ვით დღისა გარდასრულისა.“
(რუსთაველი)

⁂

კაცი სახელის მქებნელი
არ მოკვდეს უკუნისამდე;
სახელ-გმობილი მკვდარია
უმაღეს სიტყვის თქმისამდე.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

არვის ჰმართებს საქონელი,
სულ თავისთვის კაცს უნდოდეს:
უშურველად უნდა გასცეს,
მსგავსიერად ვის მოუნდეს;
მხიარულის გონებითა
გაცემაზედ არ დასჩმუნდეს;
სიმართლისა მოღვაწებით
შემოჰქონდეს და გაჰქონდეს.
(არჩილ მეფე)

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲛ

დიდი ხანია ჩემს მკითხველს აღარ გამოველაპარაკებივარ. უმთავრესი მიზეზი ამისა ჯერ ის იყო, რომ მუხთალმა სოფელმა ჩვენი ჩვეულებრივი ასპარეზი მოგვისპო და ამით ხალისიც დაგვეკარგა, რადგან გული გულის ადგილას აღარ იყო და თუ კაცს გული შეერყა, ძნელია იმის მორჩენა. მას შემდეგ ბევრჯელ დავაპირე საუბარი, ბევრჯელ ავიღე კალამი ხელში, მაგრამ რაკი ერთხელვე გულჩათუთქული ვიყავ, ველარა მოვახერხე-რა და თავი დავანებე.

ამ ბოლოს დროს ჩვენს ცხოვრებაში ბევრი ისეთი შესანიშნავი ამბები

---

თვითონ ეპრიანებათ. როდესაც გაიცნობენ პირადად და მისთანა აღარ დაურჩებათ, როგორიც ეგონათ, მაშინ, რასაკვირველია, გული ეცვლებათ, თითქოს მართლა რამ დანაშაული ჰქონდეთ იმ სახელოვანებს, და ადრინდელ-მოწყალებას რისხვად შეუცვლიან ხოლმე.—და თუ რისხვით არა—აგდებით მაინც აიგდებენ და აღარად ჩააგდებენ,—ეს მოვლინება საზოგადო კანონია ადამიანისათვის. — მზე რომ ყოველ-დღე არ ამოდიოდეს, ვარსკვლავები რომ ყოველ-ღამ არ იჭედებოდნენ ცაზე და მხოლოდ ერთ დღეს როდისმე მთელის წლის განმავალობაში გამოჩნდებოდნენ ხოლმე ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ამბავი იქნებოდა მაშინ!... აღტაცებაში მოსული, გაკვირვებული და გაოცებული ხალხი სულ ერთიანად საცქერლად გავიდოდა.—და მერეც ერთი დაუცხრომელი განგაში და საუბარი ექნებოდათ... მაგრამ დღეს კი მიჩვეული რომ ვართ, ზედაც არ ვუყურებთ. ზოგჯერ მთვარიან ღამეში, როდესაც ცა ვარსკვლავებით გადაჭედილია, ჩვენ ერთი ახედვაც კი გვეზარება მაღლა და ბაღებისაკენ გავრბივართ ჭრაქების სანახავათ... აქაო და ბაღი გაუჩირაღდნებიათო. ერთის სიტყვით, რაც ყოველთვის თვალ-წინ გვიდგას და ნამდვილიც არის, ის არაფრად მიგვაჩნია და მოგვწონს მხოლოდ ის, რაც ხან-და-ხან მოგვეჩვენება ხოლმე.—კიდევ გავიმეორებთ, რომ ვისაც კეთილ-დღეობა უნდა, ესეები ყველა უნდა კარგად იცოდეს და ისე დაიჭიროს თავი ხალხში, როგორც ხალხის გრძნობა-გონება მოითხოვს!... ეს ჭეშმარიტება შუათანა ჭკუა-გონების კაცებს, იმ პატარა ქმნილებაებს, უფრო კარგადა აქვსთ შესწავლილი და უკეთ სარგებლობენ, ვიდრე დიდის ჭკუის პატრონები!... ეს უკანასკნელები თითქმის სულაც არ აქცევენ ამ აუცილებელ ჭეშმარიტებას ყურადღებას და მით ცხოვრებას იმწარებენ... რა არის ამის მიზეზი? გრძნობა!... პატარა კაცები ანუ კაცუნები კუჭითა ჰგრძნობენ, და მთელი ქვეყანა მსხვერპლადაც რომ შეიწირონ, არ ენაღვლებათ! — ნამდვილის ჭკვიანების გრძნობა უფრო მაღალი სულის მოთხოვნილებაა; თუ სხვებს მშიერსა ხედავენ, მაშინ ყოველი ლუკმა მათ პირში შხამად ჩადის, ისინი სხვებზე უფრო მეტსა ჰფიქრობენ, ვიდრე თავის-თავზე და მზადაც არიან თავი ქვეყანას შესწირონ... „ერთის ხელით ორი ნესვი არ დაიჭირებაო“, ნათქვამია და მაშასადამე ქვეყნის მუშამ რომ თავის-თავისთვის საკუთრად ვერა მოაგვაროს-რა, რა გასაკვირველია? სრულიადაც არაფერი, მაგრამ ხალხს მაინც არა თუ უკვირს, მეტიც ემართება.—ბიწიერება, სიგიჟე და ახირებულობა ჰგონია ნამდვილ-ჭკვიანების მოქმედება და სდევნის დაუზოგავად, სადამდისაც კი ძალი და ღონე მიუწვდება!.. რომ გადავათვალიეროთ წარსული საუკუნოები, რამდენს მაგალითს დავინახავთ: ზოგი ჯვარზე უცვამთ, ზოგი დაუწვამთ, ზოგი საპყრობილეში ჩაულპიათ და ზოგიც სამშობლოდან გაუძევებიათ! და მხოლოდ შემდეგ დგმას აუხელია თვალი და დაუნახავს მათი სიმართლე, მაგრამ რაღა დროს?!. შეუნანებიათ წინაპრების წარსული შეცდომა, მაგრამ იმ გვარსავე შეცდომაში კი ხელ-ახლად თვითონვე ჩავარდნილან და ჭკუა მაინც ვერ უსწავლიათ. ხშირად რაც ჩვენზე უფრო ახლოა, იმას ვერა ვხედავთ და შორეულს კი ნათლად შევყურებთ... კაცი თავის საკუთარ სახეს ვერა ჰხედავს და სხვისას კი ძალა-უნებურადაც შესჩერებია.

ასეა ამ ცხოვრების კანონიც! წარსულ საუკუნოების თავ-გადასავალი უფრო ადვილად ასაწონ-გასაზომია, ვიდრე თანამედროვესი. ვინც ქვეყნის მუშად გამოდის, იმან წინ-და-წინვე უნდა იცოდეს, რაც მოელის და მზად უნდა იყოს, რომ ყოველ-გვარი უსამართლო დევნა, გულ-გრილად თუ არა, მოთმინებით მაინც აიტანოს და სანუგეშოდ გაიმეოროს ხოლმე ღვთიური სიტყვა: „არა უწყიან, რასა იქმანან!“ ესეები კარგად იციან რჩეულ-ჭკვიანებმა, მაგრამ თავის პირადობა მაინც დავიწყებული აქვსთ!.. ისინი იმას კი არა ჰფიქრობენ, რომ ხალხს თავი შევაყვაროთ, პატივი ვაცემინოთ, და დიდ რამეთ მივამჩნევინოთ ჩვენი თავიო. მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ შეაყვარონ სხვებსაც ის კეთილი საქმე, რომლისათვისაც იმათ თავი გაუწირავთ და გაიყვანონ სხვებიც სამუშაოდ იმ გზაზე, რომელზედაც თვითონ დგანან!—მათთვის არ არსებობს წამიერი აწმყო!.. იმათა სწამსთ მხოლოდ ხანგრძლივი მომავალი!!. მოვიყვანთ მაგალითს: სასწავლებელში რომ ვიზრდებოდით, სხვათა შორის ორი მასწავლებელი გვყავდა. ერთი სასტიკი რამე იყო, მიუკარებელი; მუდამ იბღვირებოდა და მით გვაშინებდა. მართალია, მისი არც დანახვა გვიამებოდა, არც ზიანი გვეწყინებოდა, მაგრამ შიშით ხათრი და პატივის ცემა კი მომეტებული გვქონდა. მართლა დიდვინმეთა და დიდ რამეთ მიგვაჩნდა, ასე რომ არჩევანში რომ შევდიოდით ხოლმე, მისი ტოლი და ღირსი არავინ გვეგონა!.. მეორე მასწავლებელი კი საკვირველი უბრალო კაცი რამ იყო!.. იმიტომ რომ ჩვენთან იყო, ჩვენში გამორეული! ჩვენთან ხუმრობდა და ჩვენთანვე თამაშობდა. ერთი დღე რომ არ გვენახა, მოვისაკლისებდით, მაგრამ საზოგადოდ არაფრად კი არ მიგვაჩნდა!.. არც შიში გვქონდა მისი, არც ხათრი და არც პატივისცემა. როდესაც გავიზარდენით, დავჭკვიანდით, ავისა და კარგის გაგება შევიძლით, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ პირველის გაბერვას და თავის დაჭერას ჩვენთვის არაფერი კეთილი ნაყოფი არ მოუტანია!.. და მეორის ამხანაგურმა ქცევამ კი ბევრი რამ შეგვეძინა!.. თურმე ის განძრახვით ტრიალებდა და ერეოდა ჩვენში. ყოველი მისი სიტყვა ჩვენს გრძნობა-გონებაში თესლივით ვარდებოდა საბოლოოდ ნაყოფის მოსატანად. მაშინ, თვითონ, სულელები ვიყავით, ყოველისფერს ბავშურის თვალით ვზომავდით და რას მივხვდებოდით? მაგრამ ახლა კი გავიგეთ და მის სახელს კურთხევით ვიგონებთ, მაშინ როდესაც მეორე მასწავლებლის, იმ გაბერილ-ვაჟბატონის სახსენებელიც კი გვეზიზღება!.. ეს რაც ჩვენ ახლა გავიგეთ, იმ კეთილმა მასწავლებელმა თურმე მაშინაც იმ თავითვე იცოდა, ის მხოლოდ ჩვენ მომავალ-სარგებლობაზე ჰფიქრობდა, ის უხაროდა და აღარად აგდებდა ჩვენგან უპატივ-ცემულობას. — თანამედროვე ხალხიც იგივე მოსწავლე ბავშვია... ნამდვილი ჭკვიანი, მოასპარეზე, ის თავ-დავიწყებული კეთილი მასწავლებელია და გაბერილი, სასტიკი მასწავლებელი კი, იმ შუათანა-ჭკუის კაცების წარმომადგენელია, რომელნიც ქვეყანას თვალს უხვევენ და თავის პირადობა სალიტანიო ასპარეზზე გამოჰყავთ ხოლმე. რადგანაც ბევრი რამ გვაქვს სათქმელი ჩვენ ქვეყანაზე, ჩვენს ხალხსა და იმ ჩვენ მოწინავე დასზე, რომელსაც ერთხელვე ჩვენში ახალ-თაობა დაერქვა, ამისათვის ეს დღევანდელი ჩვენი „ლაყბობა“ საწინასიტყვაობო იყო და, თუ ცოტა ბუნდოვანი გამოვიდა, ნურას უკაცრავად.

აკაკი

მოხდა, რომ ისევ გამიღვიძა და გამიცხოველა ჩემს მკითხველთან საუბრის სურვილი. ამასთან ვის არ უცდია, რომ როდესაც კაცი თავის სამშობლოს დაშორებულია, საუბრის სურვილი თავის მოძმესთან უფრო ემატება, უცხოველდება და მეტად სამძიმოა, თუ ეს სურვილი შეუსრულებლად დარჩა. მაშ ვეცდები, თუ, რასაკვირველია, კიდევ გარემოებამ არ დამიშალა, რასაც კი შესანიშნავ ამბავს ვნახავ, ან შევიტყობ, ჩემ მკითხველს გავუზიარო.

ამ ორი-სამის კვირის წინად მე დავტოვე ბათუმი და გამოვემგზავრე ჩემს დროებით სამყოფ პეტერბურგში იმ დღეს, რასაც დღეს ბათუმიდგან გამოველით, მშვენიერი მზიანი დღე იყო; ისე თბილოდა, რომ მომეტებული ნაწილი ბათუმელებისა უპალტოოთ დაიარებოდა. ზღვაც სარკესავით იდგა და გვიხაროდა, რომ ზღვაში სასიარულოდ ამ გვარი ამინდი დაგვიდგა. თუმცა ზამთრის პირი იყო, როდესაც ზღვით სიარულს ბევრნი ვერა ჰბედვენ, მაგრამ მგზავრები მაინც ბლომად შეიყარნენ. ჩვენ კლასში იქნებოდა თორმეტ-თოთხმეტი კაცი. უმეტესი ნაწილი უცხოელნი ვაჭარნი იყვნენ, რომელნიც ამ ბოლოს დროს ძრიელ გამრავლდნენ ჩვენში. ისინი ჰყიდულობენ საქართველოში ყოველ-გვარ ქირნახულს, ხილს, ხე-ტყეს, ნავთს, მატყლს, შავ-ქვას და ბევრს კიდევ სხვა საქონელს, რომელსაც ძრიელ იაფად შოულობენ და საზღვარ-გარედ კი კარგ ფასად ჰყიდიან. ამით ისინი მდიდრდებიან და ჩვენ კი უცოდინარობის გამო გაღარიბებულნი და გულ-ხელ დაკრეფილნი შევცქერივართ იმათ ვაჭრობას. რაკი ჩვენ გზა არ ვიცით, სად გავასაღოთ ჩვენი ნაწარმოები, გაჭირვებისაგან ძალა-დატანებულნი, მივატყდებით ხოლმე ისეთ ჩარჩებს, რომელთაც მუქთად მიაქვთ ჩვენი ნადავ-ნაშრომი და თითონ კი ერთი ხუთად, ერთი ექვსად ასაღებენ ხოლმე. საკვირველია, ღმერთმან იცის! აქამდინ ის ვერ მოგვიხერხებია, შევადგინოთ ერთი პაწია წრე იმათგან, ვისაც შეუძლიან დარბაისლური ალებ მიცემობის გამართვა ჩვენსა და უცხო ქვეყნელთ შორის და ამით თუ ბევრად არა, ცოტად მაინც სარგებლობა ენახა საწყალ ჩვენ უცოდინარ ხალხსა...

ნოვოროსიისკამდინ ისეთი მშვენიერი ამინდი იდგა, რომ სულ ზეით «პალუბაზედ» ვისხედით და შევცქეროდით ზღვის მშვენიერ კავკასიის ნაპირებს. ეს ნაპირები სულ მცენარით და ტყეებით არის შემკობილი. აქ წინად მდგარან აფხაზები, რომელნიც უკანასკნელ ომის შემდეგ სათათრეში გადასახლებულან. როდესაც უყურებ ამ მშვენიერ ედემის მგზავსს ბუნებას, დიდის გაოცებით ჰკითხავ შენ თავს: ნუ თუ ადვილად შეიძლება ამ გვარ ბუნების თავის დანებება? რა გაჭირება უნდა ადგეს კაცსა, რომ ამ გვარი სამშობლო ესე ადვილად დასტოვოს?

ეს მშვენიერი მცენარე—მტყეებით მორთული ბუნება თითქმის ნოვოროსიისკამდინ გრძელდება, ესე იგი ორის დღე და ღამის გემით სასიარულო მანძილზე ნოვოროსიისკი არის უკანასკნელი საზღვარი კავკასიისა. იმას იქით იწყობა ყირიმი. ამ ნოვოროსიისკამდინ ისე მივედით, რომ არც კი შეგვიტყვია. აქედგან კი ღმერთმა შეინახოს, ამოვარდა ერთი საშინელი ქარი, შეინძრა ზღვა და რამდენსამე წამს შემდეგ ისეთი უშველებელი ზვირთები აშალა, რომ მთები ეგონებოდა კაცსა. ეს ზღვის მთები ერთის გრიალით და ქუხილით მოესია ჩვენს გემსა და აკვანსავით რწევა დაუწყო. მაგრამ მაინც ჩვენი პაწია მოსიარულე სადგომი არ შეუშინდა ამ უშველებელ ზვირთებსა და თავის გზა განაგრძო. ჩვენ, რასაკვირველია, ყველანი თავთავის საწოლ ოთახში გავეშურენით, რადგან მწოლარე კაცი უფრო იტანს ამ გვარს ზღვის მრისხანებას.

სევასტაპოლამდინ თითქმის არ დამცხრალა ზღვა. სევასტოპოლში რომ მივედით, ღმერთს მადლობა შევწირეთ მშვიდობით გარდარჩენისათვის და იმავ სალამოსვე საგანგებო მატარებელით პეტერბურგისაკენ გავეშურე. ნოემბრის გასული იყო და თითქმის მთელს რუსეთში ჯერ თოვლი არ მოსულიყო. ყველას უკვირდა ეს ამბავი და ამბობდა, რომ ამისთანა დროს არ მოვსწრებივართ.

მემამულენი ჩიოდნენ: ამ გვარმა ამინდებმა ჯეჯილები ლამის სულ წაგვიხდინოსო, თუმცა პურს კი-მაინც ფასი არა აქვსო. შეიდ შაურსაც არავინ გვაძლევს ფუთ ხორბალშიო და ჩვენ კი ათ შაურამდინ გვიზის ფუთიო. მე მაშინ მომაგონდა ჩვენი მემამულენი, რომელთაც კოდი პური ორ მანათიდგან თორმეტ აბაზამდინ უჯდებათ და ხშირად კოდი შეიდ-რვა აბაზ მეტად არ იყიდება. ვაჭრებიც ძალიან უჩივიან ეხლანდელ დროს: ალებ-მიცემობა შეჩერებულიაო. ბევრი ამ გვარი ლაპარაკი გავიგონე ვაგონში და ჩემ გუნებაში ვამბობდი, მაშ ეს ჭირი მარტო ჩვენ საქართველოში არ ყოფილა-მეთქი. პეტერბურგამდინ ისე მოველით, რომ თოვლი არ გვინახავს, პეტერბურგში-კი რომ მივახლოვდით, საშინელი თოვლ-ჭყაპი წამოვიდა და ამ თოვლ-ჭყაპიან ამინდში შეველით პეტრეს მშვენიერს ქალაქში.

*დროებითი პეტერბურგელი*

პეტერბურგი, 12 დეკემბერს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბოლგარიის დეპუტაცია ევროპაში დაიარება დიდ სახელმწიფოთა სანახავად. ვენაში ამ დეპუტაციას დიდი იმედი მისცეს, დიდი თანხები დაუწყეს და ბერლინში კი იმედები სრულიად გაუცრუეს. ბისმარკმა პირ-და-პირ უთხრა დეპუტატებს: გერმანიის დიდი იმედი ნუ გექმნებათ, გერმანიას ბოლგარიისათვის არა სცალიანო. დეპუტაცია, ეტყობა მაინც იმედს არ იწყვეტს, და ამიტომ ბერლინიდამ საფრანგეთში და ინგლისში გაემგზავრა.

რა ჰსურს ამ დეპუტაციას? რა განზრახვით დაიარება ევროპაში დიდ სახელმწიფოებთან? გაზეთ „Deutsche Tageblatt“-ის თანამშრომელს და დეპუტაციის ერთს წევრს, კოლჩევს, აი რა ლაპარაკი ჰქონიათ ამის შესახებ.

> — ინგლისში იმიტომ მისდიხართ, რომ მოელაპარაკებით პრინცს ბატენბერგს, რომელიც ეხლა იქ არის, განა?—უკითხავს გაზეთის თანამშრომელს კოლჩევისათვის.
>
> — არა, ეს ჩვენ სახეში სრულიად არა გვაქვს.—უპასუხნია კოლჩევს. ბატენბერგის ხელ-მეორედ ამორჩევა ბოლგარიის მთავრად ყოვლად შეუძლებელია:—დიდთა სახელმწიფოთ არა ჰსურთ.
>
> — პრინც ბატენბერგზე უარს ამბობთ, სამეგრელოს თავადიც არ გინდათ,—მაშ ვინა გყავსთ სახეში? ბოლოს-და-ბოლოს მაინც რას აპირებთ? სერბიის კოროლი მილანი, ან რუმინიის კოროლი ხომ არა გყავთ სახეში?
>
> —სერბიის კოროლი ყველას ემჯობინებოდა, რომ ეს უბედური ომი არა ყოფილიყო სერბთა და ბოლგარელებთ შორის. ომის შემდეგ ბოგარელებმა საშინლად შეიძულეს მილანი. რუმინიის კოროლი კი თითონაც არ დასთანხმდება რუმინიის და ბოლგარიის შეერთებას. ბევრს უშლის ის გარემოება, რომ ამ ორს ერს ნათესაობა არა აქვთ, სხვა-და-სხვა თესლისანი არიან.
>
> — კარგი მაგრამ ხომ უნდა დასვათ ვინმე მთავრად ბოლგარიის ტახტზე?
>
> — სხვა გვარად თუ ვერა გავაწყეთ რა, ერთი გზა-ღა დაგვრჩება—უნდა ისევ ბოლგარიელი ამოვირჩიოთ მთავრადა.
>
> — მერე სად იპოვნით მაგისთანა ბოლგარელსა?
>
> — ძნელი არ არის. თავადი ვოგორიდესი ბოლგარელია.
>
> — ვოგორიდესი? ალეკო-ფაშა? ის ხომ ბერძენია?
>
> — არა, ალეკო-ფაშა ბოლგარიაშია დაბადებული და ბოლგარია ისე უყვარს, როგორც ბოლგარიის ნამდვილს შვილსა.
>
> — კობურგის პრინცს სრულიად თავი დაანებეთ?
>
> — სრულიად, რუსეთს გასაგონადაც არა ჰსურს ამ პრინცის ბოლგარიის მთავრად არჩევა.
>
> — სწორედა სთქვით, ხომ კალნოკიმ გირჩიათ კობურგის პრინცის ამორჩევა?
>
> — სრულიადაც არა, თვით პრინცის მეგობრებმა და კეთილის-მოსურნეთ გვირჩიეს იმის ამორჩევა.

ვერ ვიტყვით, რომ ყველას გულახდილად ელაპარაკობდეს ბ-ნი კოლჩევი. ცხადია, რომ ბოლგარელებსაც უსწავლიათ დიპლომატობა!...

⁂

საზღვარ-გარეთ დიდ დღესასწაულებში ყოველთვის საჩუქრებს აძლევენ. ეს ჩვეულებად არის მიღებული, და ამიტომ ყოველ დიდ დღესასწაულის წინად ათას-გვარი საჩუქრები, სათამაშოები, ნახატი წიგნები, სურათები გამოდის და ისყიდება. ახლა რა გვარებია ეს საჩუქრები? აი გაზეთი „Новости“ ორს მაგალითს გვიჩვენებს.

> საფრანგეთში უფრო ხშირად ასეთს საჩუქრებს შეჰხვდებითო,—ამბობს გაზეთი: მაღლა თაროზე ბლომად წიგნებია რიგზე ჩამწკრივებული. თაროს კიბე აქვს მიყუდებული, აუარებელი ყმაწვილი დაჰხვევია ამ კიბეს,—მიცოცავენ ზემოდ, ერთმანერთს ებლაუჭებიან, ცვივიან ძირს. აი ბოლოს ზოგი ავიდა თაროსთან, წაავლო წიგნს ორივე ხელი და სიხარულით მიდის.

ახლა დაჰხედეთ გერმანიაში რა გვარ საჩუქრებს ჰყიდიან ყმაწვილებისათვის.

> აი ზარბაზანზე ვილაცა ზის, ზარბაზნის მარჯვნივ ყუმბარეების მთელი გროვა დგას, მარცხნივ ბარგით სავსე ეტლები. ზარბაზანზე მჯდომარე კაცს ხელში უჭირავს ბაირაღი და თოფ-იარაღი. ერთ შუბზე ჩამოცმულია ფრანგი, მეორეზე—ერთი

## იაპონიაში ვიყავი

(პოლშურ გაზ. „kraj“-დამ.)

საშინელი სიცხე იყო, თუმცა ჩემი ევროპიული კალენდარი კი ამბობდა, რომ ეხლა თებერვალიაო. მე ვუბრძანე ჩემს მოსამსახურეს, ფუნგ-ცოს პატარა მდინარის ნაპირას დავისვენოთ მეთქი. მივედით თუ არა დანიშნულს ადგილს, ჩემის ბრძანებით ეტლი მაშინვე გაჩერდა.

მე გამოვედი ეტლიდამ, გავშალე წითელის აბრეშუმის ქოლგა და დავიფარე თავი სიცხე-პაპანაქებისაგან. ნელ-ნელა გავუდექ გზას ფეხითა და ვსიამოვნებდი იაპონიის მშვენიერის ბუნებითა. აღტაცებით შევსცქეროდი ამ მდიდარს ქვეყანას და ვერ დავმტკბარიყავ მოწმენდილისა და მოკრიალებულის ლაჟვარდის ცის ცქერითა.

მე კვლავ განვაგრძე სიარული. ახლო მოსჩანდა პატარა სერი, გასაოცარის ხასხასის მწვანით მოსილი. ამ სერზედ მრავლად იდგა დიდრონი ხეები, რომლებსაც მეტად პრტყელი ფოთლები საამურად ამშვენებდა. ეს სერი ანდამატივით იზიდავდა მთელს ჩემს არსებას. აი მივედი კიდეც. ზედ სერის ფერდობზედა ვზივარ. ღმერთო, რა მშვენიერება იყო გარემო. არე-მარე იღიმებოდა და მიცინოდა. სწორედ მე მიღიმოდა, ჩემი იქ ყოფნა უხაროდა. იქვე, ჩემს ახლოს ცელქად მიმდინარეობდა პატარა წყალი. თითქო გაუჯავრებიათო, თავის პატარა ზვირთებით ეჯახებოდა კლდოვანს ნაპირებს; ცოტა ქვეთ კი მდოვრად მიიკლაკნებოდა, აღარა ჯავრობდა, აღარა ღელავდა. საოცარნი და უცხო ფრინველნი განუწყვეტლივ ჭიკჭიკობდნენ ჩემ გარეშემო.

ასე ამ გვარს განცხრომაში გავატარე თითქმის ერთი საათი. უცებ, კნახოთ, ჩემი ყურადღება რაღაც ხმაურობამ მიიქცია. ცხადად მომესმა ხის ფეხ-საცმელების ბაკა-ბუკი, „გეტტას“ რომ ეძახიან და პატარა სკამებივით რომ აკეთებენ. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც დავინახე, რომ ჩემ შორი-ახლო იდგა ახალგაზდა, ნორჩი იაპონელი ქალი. ყვავილივით ლამაზი, ვარდივით გარდაშლილი და აწითლებული ქალი ჩემსკენ მოდიოდა. ტანთ ეხურა განიერი სამოსელი, რომელსაც „კტრიმონს“ უწოდებენ.

მე ასე მომეჩვენა, რომ ეს ქალი უთუოდ ფიქრებშია გართული მეთქი. წელზე განიერი სარტყელი (ობი) ერტყა და ისე უცნაურადა ჰქონდა გამოყურთმაჯებული, რომ, გსთქვი, ეს უცნობი ქალი უთუოდ გასათხოვარი ქალია მეთქი. სარტყელის ყურთმაჯის გარდა, ამას ისიც ამტკიცებდა, რომ სქელი და შავი წარბები ჰქონდა. ქმრიანი ქალები იაპონიაში წარბებს არ იჩენენ. ეს წინადაც კარგად ვიცოდი.

დამინახა თუ არა ქალმა, თავი ჩაჰღუნა და პირზე ხელი მიიფარა. ასე იცის ქალმა, როცა უცბად შეკრთება და შერცხვება.

— საითკენ მიეჩქარები, ლამაზო და ტურფავ, ვკითხე და ზრდილობიანად მივესალმე იაპონურად.

— მე მამიჩემის სახლიდამ გამოვედი და მინდა შევჩივლო ბუნებას ჩემი დარდი და ნაღველი. მინდა ჩემი ბედის-წერაც შევიტყო მკითხავისაგან, მიპასუხა იაპონელმა ქალმა.

— რა დარდი და ნაღველი გაქვთ განა და ან სად არის ის მკითხავი? ვკითხე მე.

ქალი დაჯდა ჩემს ახლოს. იმისი დიდრონი, ცის-ფერი თვალები ძირს იცქირებოდა სიმშვიდითა. ბევრი აღარ მახვეწინა ქალმა და მოჰყვა თავის თავ-გადასავალს. ეს თავ-გადასავალი არც ისე გრძელი იყო და არც ისე უცნაური და არა-ჩვეულებრივი. იაპონიაში წესადა აქვთ, რომ საქმრომ თავის საცოლოს დედ-მამას ფული უნდა მისცეს. აქ გათხოვება გასყიდვასა ჰგავს, რადგან დედ-მამა ხშირად იმას მიათხოვებს ხოლმე თავის ქალს, ვინც უფრო ბევრს ფულს შეაძლევს. ღარიბი დედ-მამა ჰყავდა ჩემს ლამაზს ქალსა და მეტი ღონე არ იყო, ეს ვარდიც იმისთვის უნდა მიეთხოვებინა, ვინც უფრო ბევრს ფულ მისცემდა, თუნდ ქალს არც-კი ჰყვარებოდა. ვიღაც მდიდარს მიეგზავნა კიდეც კაცი ქალის დედ-მამისათვის. ქალის მამას დიდ ბედნიერებად მიაჩნდა ასეთი სიძე, ქალი კი სტიროდა და გულითა და სულით სძაგდა ვიღაც ბებერი მდიდარი.

ქალს ორი ჩხირი ეჭირა ხელში. ორთავეს ერთი პირი პრტყელი ჰქონდა და მეორე რგვალი.

— ეს რა ჩხირები გიჭირავთ-მეთქი, ვკითხე მე.

— ეს ჩხირები მკითხავიაო... „კაოცო!“ მიპასუხა ქალმა. შენ უცხო ქვეყნიდამა ხარ და არ იცი, რა არის ეს ჩხირები. მაგრამ ადვილი მისახვედრიკია. აიღებ ორთავ ხელში თითო ჩხირს და მერე გადაჰყრი; ამას ჰქვიან „ტანკაო“. თუ ორივე ისე დაეცემა, რომ რგვალი პირი ზემოდ მოჰყვა, ეგ „ინკაო“ იქნება,—ვითომ ცუდად არის საქმეო. თუ ორივე ჩხირი ისე დაეცა, რომ სადა პირი ორთავეს ზემოდ მოუვიდა, ეს ნიშნავს: «იან-კაო», ესე იგი ისევ იმასვე, საქმე ცუდად არისო.

— კარგად როდის-ღა იქნება, ვკითხე მე და დავაშტერდი ტურფას ეშხიანსა და საუცხოვო თვალებს.

— კარგად მაშინ იქნება, მიპასუხა ლამაზმა, როცა „მენ-კაო“ მოვა, ესე იგი, როცა თითოეული ჩხირი სხვა-და-სხვა პირით დაეცემა.

— აბა მაშ სცადე! ვუთხარი მე.

— ქალმა გადააგდო ჩხირები და სასიამოვნო პასუხი ამოუვიდა.

— იაპონელს შავ-თვალებიანს მარგალიტივით ცრემლები წამოსცვივდა და სიხარულით ტირილი დაიწყო...

— აბა, შენცა სცადე! მითხრა მე უცებ.

მეც გადავაგდე ჩხირები და იგივე სასიამოვნო პასუხი ამომივიდა.

— ოჰ, რა ბედნიერი ხარ! მწუხარებით წარმოსთქვა ყმაწვილმა გასათხოვარმა ქალმა.

მზე ჩასვლას აპირებდა. მისი სხივები გაწითლებულიყო და მოჰფენოდა პატარა წყალსა, რომელსაც ამის გამო წითლად გაუდიოდა ჩუჩქრიალი. ფრინველნი მხიარულად გალობდნენ ბუჩქებში. მოხდა ის, რაც ძალიან ადვილად მოსახდომი იყო: იაპონელ ლამაზის ქალისათვის მომესვია ხელი, გულში ჩამეკრა და განუგეშებდი, შავს თმაზე ხელს ვუსვამდი, ვეალერსებოდი და გამგელებული ვკოცნიდი, რომ იქნება ამ კოცნით მოვკრიბო იმის ლოყებზედ მარგალიტივით დასხნეულნი ცრემლნი-მეთქი.

— ოჰ, ვიცი, შენ კეთილი ხარ, მითხრა მან ტკბილად. ნუ მოინდომებ და ნურც ნებას მისცემ ვისმე, რომ მე მდიდარის ბებერის კაცის «მაკაკო» (ცოლი) გავხდე.

— არა, არ ვინდომებ, ჩემო კარგო, მე გიყიდი; გიყიდი და მამა-შენს უფრო მეტს მივცემ, ვიდრე ის ბებერი მდიდარი. ჩემი იქნები, ჩემო კარგო, ჩემი...

— ოჰ, რა კეთილი და კარგი რამა ხარ!

ფრინველნი გაჯიბრებითა გალობდნენ და ყივილ-ხივილი გაჰქონდათ. ჩვენი ტუჩები თრთოდნენ და უკვე ერთმანერთს ეკებდნენ ჩასაკოცნებლად. ამ დროს უცებ საშინელი ხმაურობა მოისმა. ქალი გამისხლტა ხელიდამ და შეჰყვირა: მამაჩემა, მამა-ჩემიო!

ოჰ, საშინლად მეტკინა თავი. მე ვიგრძენ, რომ თავში ჯოხი დამარტყეს. თვალთ-დამაბნელდა და შევყვირე.

წარმოიდგინეთ, რა დამმართვოდა: გავახილე თვალები და ჩემი ოთახი-კი დავინახე. ძირს ვეგდე გაშხლართული. საწოლიდამ გადმოვარდნილვიყავ და ხელში გაზეთი მეჭირა. თურმე ნუ იტყვით გაზეთი მკითხავს ტონკინსა და იაპონიაზე და ამ კითხვაში-კი ჩამძინებია.

რაღა თქმა უნდა, ბევრი ვინანე, რომ ეს სიზმარში ნახული იაპონელი ქალი მარტო სიზმარი იყო და არა ცხადი?!

ქერა-თმიანი კაცი. ჰჯერში მოდის და წუწუნებს ყუმბარეები. შორს დგას ჟარისკაცი და რაც ძალი და ღონე აქვს საყვირს უკრავს.

ჰხედავთ, როგორ მაგრა გაუდგავს ფესვი გერმანიაში ბისმარკის პოლიტიკას! რასაკვირველია, სჯობს უმაწვილობიდამ შეაჩვიონ ამ გვარ სურათებს?...

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლორდ იდდესლეის შეუტყობინებია საფრანგეთის მთავრობისათვის, რომ ამ დეკემბრის თვის უკანასკნელ რიცხვებში გაგაგზავნინებთ ჩემს პასუხს თქვენ-მიერ წარმოგზავნილ ნოტის გამო, რომელიც ეგვიპტის საქმეს შეეხებაო. იმედი არა აქვსთ, რომ ლორდ იდდესლეის პასუხმა საბოლოვოდ გადაწყვიტოს ეს საქმე, ჯერ კიდევ დიდხანს მოუნდებათ საფრანგეთსა და ინგლისს ეგვიპტის საქმის გამო მოლაპარაკება და მიწერ-მოწერაო.

— ლონდონში ხმა გავრცელებულა, რომ ჩერჩილი, ჩემბერლენი, გლადსტონი და პარნელი ერთად შეერთდნენ და ამიერითგან ერთად იმოქმედებენო. ამის გამო ლორდი სალისბერი ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშია და აღარ იცის, რა გზას დაადგესო.

— ლორდ ჩერჩილს სამსახურიდგან გადადგომამდე გამოუცხადებია, რომ ეგვიპტიდგან ჯარები უნდა გამოვიყვანოთ და გავანთავისუფლოთ ეს ქვეყანაო. ამის გამო მინისტრთა რჩევა ჰქონიათ, ჩერჩილის წინადადება არ მიუღიათ და უარი უთქვამსთ ჩერჩილისათვის. ამბობენ, გითომ ეს არის მიზეზი ჩერჩილის სამსახურიდგან გადადგომისაო. ზოგნი კი იმ აზრისანი არიან, რომ სალისბერი ბოლგარიის საქმეში ავსტრი-ვენგრიას მომხრეობს, ჩერჩილს ეს არ მოსწონდა და ეს იყო მიზეზი მისის სამსახურიდგან გადადგომისაო.

**გერმანია.** გერმანიის გაზეთები მშვიდად სჯიან, რომ უეჭველია ავსტრი-ვენგრიასა და რუსეთის შორის ომი ასტყდებაო. ამ გაზეთებს ის უხარიანთ, რომ ვინიცობაა მართლა ომი ასტყდა ავსტრი-ვენგრიისა და რუსეთის შორის, გერმანია განზე იდგება და თამაშას უყურებსო. ამ გაზეთების აზრით, ომი თუ მოხდა, 1887 წლის 1 აპრილზედ ადრე შეუძლებელია რომ მოხდესო. ამ გაზეთებს ის კი ავიწყდებათო, ამბობენ რუსეთის გაზეთები, რომ თუ ევროპაში მშვიდობიანობა დაირღვა და ავსტრი-ვენგრიამ და რუსეთმა ერთმანერთს ომი გამოუცხადეს, საფრანგეთი იდროვებს და გერმანიას ძველს ვალებს მოსთხოვსო.

**ბოლგარია.** სტამბოლის გაზეთი „თარიღი“ ჰკიცხავს ინგლისის მთავრობას, პრინც ალექსანდრე ბატტენბერგს ორდენი „ბანი“ რად უწყალობეო. ამ გაზეთის სიტყვით, ინგლისმა იმ აზრით მისცა ბატტენბერგს ორდენი „ბანი“, რომ ბატტენბერგის მომხრეები აწუგეშა: იმედს ნუ წარიკვეთთ, ჯერ კიდევაო. ინგლისს უნდა ამით ბოლგარიის არეული საქმე უფრო გაამწვავოს და არიოსო.

— ბოლგარიაში რკინის გზები გაჭყავთ. მაგალითებრ, «რეიტერის სააგენტოს» სიტყვით, ამ ჟამად რკინის გზის სადგურებსა ჰმართავენ ცარიბროდსა, დრაგომანსა, სლივნიცსა, სოფიასა, ახალ-ბაზარსა და კაკარელში. ეს რკინის გზის სადგურები მთავრობას ბოლგარიისას 572,000 ფრანკი უჯდებაო.

**საფრანგეთი.** პარიჟიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. «National Zeitung»-ს: 10 დეკემბერს საფრანგეთის გარეშე საქმეთა ახალ მინისტრ ფლურანსთან შეიკრიბნენ მინისტრები ფრეისინეს მოადგილესთან მოსალაპარაკებლად. ამბობენ, რომ მინისტრი ფლურანსი ძალიან ტკბილსა და სასიამოვნო კაცად ეჩვენათ დიპლომატებს და ამის გამო ძალიან მადლიერნი არიან იმის ამორჩევისაო.

**ავსტრი-ვენგრია.** ვენისა და პეშტის გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ რუსეთი ავსტრი-ვენგრიასა და გერმანიას ვერ გააშორებს ერთმანერთს, ისეთი მეგობრული კავშირი სუფევს ამ ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორისო. თუ რუსეთს იმედი აქვს, რომ გერმანიას დაუმეგობრდება და ამ მეგობრობის შემწეობით ბოლგარიის საქმეს ჩემ სასარგებლოდ გადავაწყვეტინებ დიდთა სახელმწიფოთა, ტყუილი იმედიაო. ეგეც რომ არ იყოს, ომი ძნელად შესაძლებელია ავსტრი-ვენგრიისა და რუსეთის შორისო, ამბობენ ეს გაზეთები. დარწმუნებულნი ვართ, რომ არც რუსეთი და არც გერმანია არ არიან მოწადინებულნი ომსაო.

## გასართობი

ალექსანდრე დუმას (შვილს) ერთი ცრუმორწმუნე დალაქი ჰყვანდა. ერთხელ პარსვის დროს, ახალ წლის წინა-დღეს, დუმა ეკითხება რალაცაზედ დაღონებულს დალაქსა:

— საყვარელო ოგუსტ, რა დაგმართნია? რატომ ეგრე დაგიღრეჯია?

— ოჰ, მიუგო დალაქმა, ჩემის ანგარიშით მეორედ მოსვლა იანვრის დამდეგს უნდა მოხდეს.

— ხუმრობ.

— პატიოსნებას გეფიცები! პირუტყვები დაიხოცებიან ორს იანვარს, ადამიანები კი ოთხსა. აი თორემ ჰნახავთ.

— ეგ ვერაფერი საქმე მომდის! მაშ სამს იანვარს ვინღა მომპარსავს წვერსა? უთხრა დუმამ.

* *

ვოლტერის ერთი დრამა არ მოსწონდა საზოგადოებას. სწორედ ამ დრამის პირველად წარმოდგენის შემდეგ ერთმა ჯაგლაგმა მწერალმა უსაყვედურა: ბევრი ჩემი ლექსი მიგითვისებიათ და მაგ დრამაში ჩაგიკერებიათო.

— კიდეც იმიტომაო! უპასუხა ვოლტერმა გულ-დინჯად: რაკი ეგრე ყოფილა, რაღა საკვირველია, რომ ჩემი დრამა დაიწუნა საზოგადოებამაო.

* *

ლამოტი საფრანგეთის პოეტი იყო, დაიბადა 1672 წ. და გარდაიცვალა 1751 წ.

— ჩემი და მონასტერში შესვლას აპირებს, უთხრა ერთხელ ლამოტს ერთმა მეგობარმა.

— რამდენის წლისაა?

— ოც-და-ათისა.

— არ მიკვირს: ქალები მაშინ მიმართვენ ღმერთსა, როცა ეშმაკები იმათზედ ხელს აიღებენ ხოლმე.

## დეპეშა

19 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა სამინისტროს ნოტა იმას თაობაზე, თუ რა წესით ან განიდევნებიან, ან მიიღებიან რუსეთისა და ავსტრი-ვენგრიის მიერ ის ქვეშევრდომნი ამ სახელმწიფოთა, რომელთა დაბრუნებაც სამშობლოში საჭიროდ იქმნება ცნობილი ან უბილეთოდ ხეტიალისა და მაწანწალაობისათვის, ან კიდევ იმიტომ-რომ არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ ექმნებათ.

**ჟურჟევო.** ბოლგარიის დიდი საერო კრება 10 იანვრისათვის არის მოწოდებული მთავრის ამოსარჩევად. სოფიის გამგებელთ განზრახვა აქვთ ბოლგარია დაუმოკიდებელ სამეფოდ გამოაცხადონ და პრინცი ბატენბერგი მეფედ ამოარჩიონ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის ლიდერად ჩერჩილის მაგიერ იქმნება სმიტი, სამხედრო მინისტრად ნამყოფი.

20 დეკემბერს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისამებრ გაზეთი „Русское Дѣло“ შეყენებულ იქმნა სამის თვით.

**ლონდონი.** გარტინგტონი კვლავ უარზეა და ამბობს, რომ არას გზით სამინისტროში ადგილს არ დაიჭერს, მაგრამ აღუთქვამს-კი სალისბერისათვის, წინანდელებრ შეეწევა და მხარს მოგცემ კვლავაცაო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გობლემ მიიღო დეპუტაცია ბირჟის შუა-კაცთაგან და უთხრა: „ომის შიში არ უნდა გქონდეს, რადგან საფრანგეთს ისეთი განწყობილება არა აქვს დიდ სახელმწიფოებთან, რომ შესაძლო იყოს გამართლდეს ომის მოლოდინი. საფრანგეთს უჭირს მშვიდობიანობა და ჰსურს კიდეც. ჩვენი მთავრობაც, როცა ამბობს, მშვიდობიანობასა ვარ მოწადინებულიო, სრულიად გულ-წრფელად ამბობს ამასა. მართალია მთელი ევროპა შეიარაღებულია და ასე შეჭურვილი ამბობს, მშვიდობიანობა მსურსო, მაგრამ არც ეს გარემოება არის შიშის მომასწავებელი. მთავრობას საბუთი არა აქვს იფიქროს, რომ ასეთს ყოფას ომი მოჰყვება. იგი დარწმუნებით იმედოვნებს, რომ ომი არ მოხდება; მაგრამ მაინც ფათერაკი და უსაბედო შემთხვევა შესაძლებელია და მოსალოდნელი. ამ გვარს ფათერაკსა და შემთხვევას ყოველთვის გულ-დინჯად და გულ-დამშვიდებით უნდა მოელოდდეს ისეთი დიდი და ომისათვის კარგად მომზადებული ერი როგორიც საფრანგეთის ერია.

### პეტერბურგის ბირჟა, 19-ს დეკემბერს 1886 წ.

ფასები:

| | მსყიდველისა | გამსყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| ხუთ მანათიანი ოქრო | 8 მ. 77 კ. | — | |
| ტამოჟნის კუპონები | — | — | 170½ მან. |
| 5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი | — | — | 243¼ მან. |
| — მეორისა | — | — | 227 მან. |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | 96½ | — | — |
| ქუთაისის ბანკისა | 96½ | — | — |

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.

**ტფილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ, რადგანაც პირველ ვაჭრობის დროს, 13 დეკემბერს 1886 წ., მამულები სრულიად არ გაიყიდა, წესდების § 21 მუხლის ძალით, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 29 დეკემბერს 1886 წ., დღის 12 საათზედ, თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის სადგურში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, რომელიც ეხლა ბანკს ეკუთვნის. გასასყიდად შემდეგი მამულებია დანიშნული.

### ქალაქის მამულები:

ზუბალოვისა, კონსტანტინე და ალექსანდრე იაკობის ძეთა: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ხუთ-სართულიანი სახლი სარდაფით და საყინულეთი და მიწა 267 ოთხ-კუთხი საჟენი და 4¾ არშინი, ტფილისის მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 171,267 მან. 65 კაპ. შესავსებელი გადასახადი 9918 მან. 31 კ. სულ 181,185 მან. 96 კაპ.

პასკევიჩისა, მარიამ პეტრეს ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სარაიით, საჯინიბოთი და მიწა 321 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში ნიკოლაევის ქუჩაზე. თავნი ვალი 27,714 მან. 21 კაპ., შესავსებ. გადასახადი 1654 მან. 5 კ. სულ 29,368 მან. 26 კაპ.

ფარესოვის, ნატალია აბრამის ასული: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, შენობებით და ყოველისავე მოწყობილებით და მიწა 110 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ხევის ქუჩაზე. თავნი ვალი 9829 მან. 18 კაპ., შესავს. გადას. 942 მან. 45 კ., სულ 10771 მან. 63 კაპ.

პატკანოვისა, ეფემია რომანოზის ასული: სამ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ყოველისავე მოწყობილობით და მიწა 50 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში მე-9 ნაწილ. მე-2 განყოფილებ., კუკიაში; თავნი ვალი 6779 მან. 56 კაპ., შესავს. გარდ. 869 მან. 21 კაპ., სულ 7648 მან. 77 კაპ.

მირზახანოვისა, იაგორ გრიგორის ძისა, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველისავე მოწყობილებით და 200 ოთხ-კუთხის საჟ. მიწით, ტფილისში, მე-7 ნაწილ. მე-2 განყოფ. ავლაბარში. თავნი ვალი 5361 მან. მან. 37 კაპ., შესავს. გარდასახ. 802 მან. 37 კაპ., სულ 6163 მან. 74 კაპ.

მირზახანოვისა, იაგორ გრიგორის ძისა, ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ორი ერთ-სართულიანის ფლიგელითა და ყოველივე მოწყობილებითა და მიწა 1060 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისში. მე-7 ნაწილ. მე-2 განყოფილებ., ავლაბარში. თავნი ვალი 8045 მან. 5 კაპ., შესავს. გარდასახ. 1226 მ. 38 კ. სულ 9271 მან. 43 კაპ.

ისარლოვისა, რაფაელ პეტრეს ძისა, ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლები ყოველისავე მოწყობილებით და მიწა 242 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილისში, მე-10 ნაწილ. მე-2 განყოფილებ. თავნი ვალი 7572 მან. 78 კაპ., შესავსები გარდასახადი 471 მან. 31 კაპ., სულ 8044 მან. 9 კაპ.

ყალამქაროვისა, გრიგორ ნაზარეთის ძის, ერთი ერთ-სართულიანი და ერთი ორ-სართულიანი სახლი ფლიგელით და მიწა 196 ოთხ-კუთ. საჟ. 3 არშ. ქ. ახალციხეში, ახალს ნაწილში. თავნი ვალი 4183 მ. 94 კ. შესავ. გარდას. 306 მ. 57 კ.. სულ 4490 მ. 51 კ.

### სოფლის მამულები:

შალიკოვებისა, კონსტანტინე რომანოზის ძისა, ნიკოლოოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრის ძეთა და სალომე პანტელეიმონის ასულისა: სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ბაღი, წისქვილი და შენობები. მიწის ზომა 1513 დესეტინა, 614 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიას, გორის მაზრას, სოფელ სკრაში. თავნი ვალი 31740 მან. 38 კ., შესავსები გადასახადი 2174 მან. 32 კაპ., სულ 33914 მან. 70 კაპ.

თარხან-მოურავოვისა, იასონ ლუარსაბის ძისა; სახნავ-სათესი და სათიბი მიწები და ტყე სულ 509 დეს. 1866 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიას, გორის მაზრას, სოფ. სათუხარლოსა, სათარხნოსა და სხვა. თავნი ვალი 3885 მან. 35 კაპ., შესავსები გადასახადი 179 მან. 60 კ., სულ 4064 მან. 95 კაპ.,

ზანდუკელისა, ოტია გიორგის ძისა: სახნავ სათესი და საძოვარი ადგილები და ტყე სულ 473 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიას, დუშეთის მაზრაში, სოფელ ბულაჩაურში. თავნი ვალი 5807 მან. 89 კაპ. შესავ. გადას. 264 მან. 40 კაპ. სულ 6072 მან. 29 კ.,

თარხან-მოურავოვისა. ლუკა ესტატეს ძისა: სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები და ტყე სულ 810 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისის, გუბერნიას გორის მაზრას, სოფ. სათარხნოში. თავნი ვალი 5360 მან. 31 კაპ., შესავსები გადასახადი 285 მან. 2 კაპ., სულ 5645 მ. 33 კაპ.

გარბოვსკი-ზარენეკისა, ვალერიან მიხაილის ძისა: ხუთი ნაჭერი მიწისა შენობებით, სულ 2 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ახალ-ქალაქის მაზრაში, სოფ. ბაგდანოვკასა, ორლოვკასა, გორელოვკასა, ეფრემოვკასა და ტროიცკაში. თავნი ვალი 1500 მან., შესავ. გადასახადი 95 მან. 59 კ. სულ 1595 მან. 59 კაპ.

ჯორჯაძეებისა, მიხაილ ნოდარის ძისა და კონსტანტინე სოლომონის ძისა: ვენახი, ზომით 3 დესეტინა 2160 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. საბუეში. თავნი ვალი 2000 მან., შეს. გადასახადი 91 მან. 70 კაპ,, სულ 2091 მ. 70 კ.

ამილახვრებისა. ივანე და ელისაბედ თეიმურაზის ძეთა: სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები 151 დესეტ. 1756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფ. ნაწრეთში. თავნი ვალი 3,366 მ. 11 კ. შესავსები გადასახადი 259 მ. 10 კ. სულ 3625 მან. 21 კ.

არტაზოვისა, ნინო ზაქარიას ასულისა: ტყე, ზომით 204 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმაში. თავნი ვალი 793 მან. 82 კაპ. შესავ. გადას. 43 მან. 92 კაპ. სულ 837 მ. 74 კ.

ავალოვისა, დავით ივანის-ძისა: ვენახი, ზომით 4 დეს. ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჩუმლაყში. თავნი ვალი 2,000 მან., შესავს. გარდასახადი 119 მან., სულ 2,119 მან.

ავალოვისა, გრიგორ ივანის-ძისა: ვენახი, ზომით 1½ დეს., ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჩუმლაყში. თავნი ვალი 1,000 მან., შესავ. გადასახადი 64 მან. 50 კაპ., სულ 1,064 მან. 50 კაპ.

ავალოვისა, ოლღა ედუარდის ასულისა: ვენახი, ზომით [illegible]ეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჩუმლაყში. თავნი ვალი 2,000 მან. შეს. გარდასახადი 94 მან. 80 კაპ., სულ 2,094 მან. 80 კაპ. (1—1)

Дозв. ценз. Тиф. 20 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე